ახალგაზრდა კომუნისტი

მხურვალედ ვულოცავთ „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციებს მათი გაზეთების იუბილეს თარიღს — 50 წლისთავს

Молодежь Грузии

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 236 (4746)

1972 წ. 29 ნოემბერი, ოთხშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელოვანი გზა

დღეს საქართველოს ახალგაზრდობის საყვარელი გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოჟ გრუზიი“ თავიანთი 50 წლისთავის იუბილეს აღნიშნავენ. საბჭოთა ხელისუფლების შექმნის პირველსავე წლიწადს დაბადებული ეს ორი გაზეთი ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად ემსახურება რესპუბლიკის ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, შეკავშირებისა და გამოწრთობის კეთილშობილურ საქმეს. საქართველოს ეს ახალგაზრდული გამოცემები რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ვაჟებს მუდამ მოუწოდებდნენ გმირული შრომისკენ, ლენინური იდეების გამარჯვებისკენ. ამ გაზეთების ყოველი ნომრის გამოსვლა ჩვენი ახალგაზრდების დიდ სიხარულს იწვევდა, ვინაიდან ათასობით მკითხველს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა რესპუბლიკის მჩქეფარე ცხოვრებას, მის წარმატებებს საკოლმეურნეო მშენებლობაში, მძიმე ინდუსტრიაში, კულტურის ფრონტზე, სპორტში.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოჟ გრუზიი“ ყოველთვის ახლოს იყვნენ რესპუბლიკის სპორტულ ცხოვრებასთან, თავიანთ ფურცლებზე ფართოდ აშუქებდნენ საქართველოს მიერ ამ დარგში მოპოვებულ წარმატებებს, ვაჟებსა და ქალიშვილებს მოუწოდებდნენ ფიზიკურად წრთობისკენ, სპორტული დაოსტატებისკენ. ამ ახალგაზრდულმა გაზეთებმა დიდი მუშაობა გასწიეს რესპუბლიკაში მშდ კომპლექსის დანერგვისა და მისი ნორმატივების მასობრივად ჩაბარების მიზნით.

კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს საქართველოს კომკავშირის საქმიანობა, როცა იგი არსებობის 15 წლისთავზე საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. ეს ჯილდო კომკავშირულ პრესასაც ეკუთვნოდა.

ომის შემდგომ წლებში რესპუბლიკის კომკავშირულმა გაზეთებმა მეტი ადგილი დაუთმეს საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებს. ამ გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი მასალები, გაზეთები დაუნდობლად ამხილებდნენ ფიზკულტურასა და სპორტში ჩამორჩენას, სააშკარაოზე გამოჰყავდათ უსაქმურები და ყალბისმქნელები. საქართველო სპორტში რომ მთელს საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა, ეს კომკავშირული პრესის დამსახურებაცაა, რომელიც მუდამ მხარში ედგა რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, გაბედული კრიტიკითა და მხარდაჭერით ხელს უწყობდა ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის აღმავლობას.

ჩვენი მკითხველები ყოველთვის მოუთმენლად ელიან რესპუბლიკის კომკავშირული გაზეთების ყოველი ნომრის გამოსვლას. რადგან იციან, რომ მათს ფურცლებზე ოპერატიულ სპორტულ მასალებს, ჩვენი სპორტსმენების წარმატებებისა თუ პირადი ცხოვრების ამსახველ საინტერესო ნარკვევებსა და წერილებს წაიკითხავენ. ამ ბოლო დროს გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ და „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ დიდი მუშაობა გააჩაღეს მშდ ახალი კომპლექსის პროპაგანდისთვის. გაზეთები მოუწოდებენ რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა ახალგაზრდას მონაწილეობა მიიღონ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში, რომ ყოველი კომკავშირელი თუ ახალგაზრდა ახალი კომპლექსის ნიშნოსანი გახდეს.

ჩვენი გაზეთის რედაქცია საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მრავალათასიანი არმიის სახელით მხურვალედ მიესალმება „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციების ნიჭიერ კოლექტივებს და უსურვებს უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის ფართოდ დანერგვისთვის, საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისთვის.




# იუბილეს აღსანიშნავად

ქუთაისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ნაყოფიერად იმუშავეს: ოქტომბრის რევოლუციის 55-ე წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1972 წლის გეგმავალდებულებანი. მომზადდა ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 21 სპორტის ოსტატი (გეგმით — 20), 116 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი (გეგმით — 200).

გადაჭარბებით შესრულდა დანარჩენი თანრიგების სპორტსმენთა, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელებისა და მსაჯების მომზადების გეგმებიც.

ლ. ახვლედიანი,
ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# სარხოიანი შვეციის ჩემპიონია!

შვეციის ქალაქ ბუროსში ჩატარდა ამ ქვეყნის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა წყვილების შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენებმა ს. გომოზკოვმა (მოსკოვი) და ს. სარხოიანმა (ბათუმი) მოიგეს. ფინალში მათ აჯობეს ტურნირის მასპინძლებს — მსოფლიო ჩემპიონ ს. ბენგტსონსა და ამ შეჯიბრების ერთეულთა თანრიგში გამარჯვებულ ჩ. იუჰანსონს — 21:14, 21:17, 22:24, 21:14.

ერთეულთა თანრიგში საბჭოთა ჩოგბურთელები მხოლოდ მერვედფინალამდე მივიდნენ. ამავე ეტაპზე „მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა“ ბენგტსონმა წააგო ჟ. სეკრეტენთან, რომელსაც ბევრჯერ დაუმარცხებია უძლიერესები. მეხუთე პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი წინ იყო (20:17), მაგრამ გამოცდილმა ფრანგმა ოსტატმა მაინც აჯობა.

ქალთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდა სამხრეთ კორეის ორი წარმომადგენელი. გაიმარჯვა ლიმ. წყვილთა შეჯიბრებაშიც ამ ქვეყნის ჩოგბურთელმა ქალებმა იმარჯვეს — ლიმ და პაკმა.

შერეული თანრიგის გადამწყვეტ მატჩში უნგრელმა ოსტატებმა იულიტ მაგოშმა და იშტვან იონერმა დაამარცხეს ელანო და ტოკიო ტასაკა (იაპონია) — 10:21, 21:15, 21:14, 21:16.

გუნდური ტურნირები იუგოსლავიელმა ვაჟებმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალებმა მოიგეს.

მაგიდის ჩოგბურთი

# მხტომელთა საერთაშორისო კლასი

ბატუტზე ხტომაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის სახელი საბჭოთა ქვეყანაში პირველებმა მოიპოვეს 20 წლის სტუდენტებმა ო. სტარიკოვამ (ტოლიატი) და ა. ვოლინკინმა (ლვოვი). ეს მაღალი წოდება მათ 26 ნოემბერს მოიხვეჭეს, როცა ინდივიდუალურ ხტომაში სსრ კავშირის თასი დაისაკუთრეს.

სტარიკოვა პირველივე დღიდან თასის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იყო. მან კომბინაციაში შეიტანა ელემენტი, რომელსაც ჯერჯერობით სხვა ვერავინ აკეთებს: ორი ბრუნი წინ ერთნახევარი „ხრახნით“. სხვათა შორის, მისი ვარჯიშის სირთულის კოეფიციენტი — 8,6 ასევე ყველაზე მაღალია საბჭოთა სპორტსმენ ქალთა შორის.

სტარიკოვა (მწვრთნელი ვ. გროისმანი) ბატუტზე ოთხი წელია გამოდის. მანამდე ორ წელიწადს იგი აკრობატი იყო და სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა 16 წლის ვორონეჟელი სპორტსმენი ლ. სოკოლოვა. ამ სეზონში იგი პირველად გამოდის უფროსთა შორის და სპეციალისტები ნორჩ სპორტსმენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მესამე პრიზიორია ორენბურგელი თ. ზარიჩკოვა.

უფრო დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ასპარეზობა. შეჯიბრების ბოლოსთვის სამი სპორტსმენი აცხადებდა თასზე პრეტენზიას. წარმატება მოიპოვა ვოლინკინმა. II ადგილზეა სვერდლოვსკელი ს. ლობანოვი, III — კიეველი გ. ჩერნოვი.

გუნდურ ჩათვლაში სსრ კავშირის თასი ბატუტზე ინდივიდუალურ ხტომაში დიდი უპირატესობით მოიპოვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა. II ადგილზეა უკრაინის გუნდი, III — მოსკოვის კოლექტივი.

ბაქო.

სპორტული ინფორმაცია

# „ჭადრაკის კვირეული“

ყირგიზეთის დედაქალაქში დამთავრდა „ჭადრაკის კვირეული“. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს დიდოსტატმა მ. ბოტვინიკმა, საერთაშორისო არბიტრმა ლ. აბრამოვმა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ბიხოვსკიმ. მათ მოაწყვეს ლექციები და საუბრები, ჩაატარეს ერთდროული თამაშის სეანსები საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებში, სტუდენტებთან და მოსწავლეებთან.

მრავალრიცხოვანი აუდიტორია დიდი ინტერესით ისმენდა სტუმრების საუბარს ბ. სპასკისა და რ. ფიშერს შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის შესახებ, საჭადრაკო ხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, საბჭოთა დიდოსტატების სახელგანთქმული გვარდიის ღირსეულ ცვლაზე. ბოტვინიკმა მსმენელთ გაუზიარა მოგონებები საჭადრაკო წარსულიდან, უამბო თავის მეცნიერულ მუშაობაზე.

ფრუნზე.

## ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

### ჯიგიტების სპარტაკიადა

ყირგიზეთში დამთავრდა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც სპორტის ეროვნული სახეობები შედიოდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩუისკისა და ტალასის ველების რაიონების ნაკრები გუნდები. ცხენოსანთა პოპულარულ თამაშში — „თხის წართმევაში" (დაკლული თხა 40 კილოგრამს იწონის) ყველა მეტოქე დაამარცხა კიროვის რაიონის გუნდმა, რომელშიც გამოდიოდნენ ყირგიზეთის 40 წლისთავის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ა. რახმანკულოვი, საბჭოთა მეურნეობა „ჯუან-ტიუბეს" მწყემსები ა. ანარბაევი და ჯ. აშირალიევი, მეჯოგე ს. ოტიბაევი.

ყველაზე მასობრივი გამოდგა ტურნირი ჭიდაობა კურეშში.

შეჯიბრების პროგრამაში აგრეთვე იყო „ტოგუზ-კორგოოლი" (მაგიდის თამაში), „ორდო" (კოჭაობა), „ოოდარიში" (ცხენოსნების ბრძოლა).

ბელოვოდსკოიე,

ყირგიზეთის სსრ.

### პირველი ათასეული

უსტ-კამენოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის მეტალურგთა პირველმა ათასეულმა დაამთავრა მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. მათს რიცხვში არიან ვეტერანები, სოციალისტური შრომის გმირები ა. კალიევი და ხ. ბახტიბაევი.

კომბინატში სპორტი წარმატებით იმიტომ ვითარდება, რომ აქ მოგებათა ხარჯზე აშენდა თანამედროვე სპორტული კომპლექსი. ხუთწლედის დასაწყისიდან კომბინატმა სპორტისთვის უკვე 100 ათასი მანეთი დახარჯა.

უსტ-კამენოგორსკი.

### ბანაკები ტყეში

სასიამოვნო სიურპრიზი ელოდათ ტურისტებს, რომლებიც კარელიის ყელზე, ლუგოვოეს ტბის ნაპირებს ეწვივნენ. დაქანცულ, გათოშილ, ზურგჩანთააკიდებულ გოგონებსა და ბიჭებს მზად დაახვედრეს მყუდრო და ხალვათი კარვები, კოცონის დასანთები ადგილები. იქვე შეშაც ეწყო.

გემოვნებითა და საქმის ცოდნით მოწყობილი ასეთი ბანაკი ტბის გარშემო ოცზე მეტი აღმოჩნდა.

ტურისტებისთვის იზრუნეს სოსნოვსკის მექანიზებული სატყეო მეურნეობის მუშაკებმა. მყუდრო კუთხეები მოაწყო ნ. მიხაილოვმა — ვ. მუხინას სახელობის უმაღლესი სამხატვრო-საწარმოო სასწავლებლის ბოლო კურსის სტუდენტმა. „მცირე ფორმების არქიტექტურა" — ასე უწოდა მან თავის სადიპლომო პროექტს, რომელიც სახელმწიფო კომისიამ ძალიან მოიწონა.

— ეს ბანაკები, — ამბობს სატყეო მეურნეობის ლენინგრადის საოლქო სამმართველოს უფროსი ს. სმირნოვი, — ტყეს იცავს უკონტროლო ჩეხვისგან. ჩვენს მუშაკებს დიდი ჯაფა დაადგათ, შესაშური მზრუნველობა გამოიჩინეს, მაგრამ მათი შრომა ასმაგად ანაზღაურდება.

ლენინგრადი.

### „უროჟაის" სპორტის სახლი

ზღვისპირა დაბა ოსინოვკაში მწყობრში ჩადგა სპორტის სახლი „ეროჟაი". ახლა ფიზკულტურელთა განკარგულებაშია ფართო სპორტული დარბაზი, ოთახები მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკისთვის. ეს ამ მხარეში პირველი საკოლმეურნეო სპორტის სახლია.

ზღვისპირეთის სხვა დიდ საბჭოთა მეურნეობებში ექვსი სპორტული კომპლექსია. თუ ხუთი წლის წინ საზოგადოება „ეროჟაი" დაახლოებით 30 ათას სოფლის ფიზკულტურელს აერთიანებდა, ახლა მათი რიცხვი ორჯერ გაიზარდა. თითქმის ყოველ დაბაში აგებულია სპორტის ქალაქები და საფეხბურთო მინდვრები.

ვლადივოსტოკი.

### ქარხნის „პატარა ავტოპარკი"

ვილნიუსის სათბობი აპარატურის ქარხნის ავტოსადგომზე ახალი პატარა მანქანები — გო-კარტები გაჩნდა. ქარხნის ავტომოყვარულებმა შექმნეს კარტინგის სექცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის „მცირე ავტოსპორტის" პირველობებში ათგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონი რ. სელემანავიჩიუსი, ახალი ტექნიკის საამქროს უფროსი. ქარხნის კონსტრუქტორებისა და მუშების — ავტომოყვარულების დახმარებით მან სრულყო გო-კარტების ძრავები.

ვილნიუსი.

### ყველა მონაწილე ნიშნოსანია

ასზე მეტმა ჭაბუკმა მიიღო მონაწილეობა წვევამდელთა სპარტაკიადაში. შეჯიბრების წინ მომავალმა ჯარისკაცებმა რაიონის საუკეთესო მწვრთნელებისა და სპორტსმენების დახმარებით დიდი მომზადება გაიარეს მშდ კომპლექსის მესამე საფეხურის („ძალა და მამაცობა") პროგრამით. სპარტაკიადის ყველა მონაწილე ნიშნოსანი გახდა.

— „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის სამკერდე ნიშნებთან ერთად, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ტროცენკომ, — წვევამდელების უმრავლესობას ავტომობილების, მოტოციკლებისა და ტრაქტორების მართვის უფლებაც გადავეცით. ეს საქმე ბიჭებმა რაიონის სპორტულ-ტექნიკურ კლუბში შეისწავლეს.

ცარიჩანკა.

## საკდესის კორესპონდენტი ...

## სახელგანთქმულ კაპიტანთა კლუბი

# „რეგბი ჩემი სიყვარულია"

ბორის გავრილოვის სახელი დღეს კარგადაა ცნობილი ბევრი სპორტის მოყვარულისთვის. 28 წლის რეგბისტს, მოთამაშე მწვრთნელსა და მოსკოვის „ფილის" კაპიტანს დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი კოლექტივის წარმატებაში (ამ გუნდმა ორჯერ მოიპოვა ჩემპიონობა). გავრილოვმა რეგბის ათი წელია ხელი მოჰკიდა. ამასთან, ფეხბურთსაც თამაშობს და ჰოკეისაც. ახლა იგი პედაგოგიურ სასწავლებელს ამთავრებს და საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებელი იქნება.

გავრილოვს „ფილის" სპორტკლუბში — ახალ საწვრთნელ დარბაზში შევხვდი. ჩემს გვერდით ზის კოხტად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი ვაჟკაცური პროფილით. იგი სიამოვნებით მაძლევს პასუხს შეკითხვებზე.

— რა შეგიძლიათ მითხრათ თქვენს გუნდზე და რით იყო თქვენთვის აღსანიშნავი განვლილი სეზონი?

— ძალიან მეგობრული გუნდია. ალბათ ამაშია ჩვენი მთავარი ძალა. მეგობრულად ვთამაშობთ, მეგობრულად ვვარჯიშობთ და ისედაც მეგობრები ვართ. ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს, საერთო საზრუნავი სწავლაში.

ოთხი წლის მანძილზე „ფილიმ" 36 სპორტის ოსტატი მოამზადა. მათ შორის ბევრი ჩვენი ახალგაზრდული სპორტული სკოლის აღზრდილია, სადაც ამჟამად სამოცზე მეტი რეგბისტი მეცადინეობს. თავდაპირველად „ფილიში" რეგბი ენთუზიაზმს ეყრდნობოდა. იყო ოცი თავზე ხელაღებული ბიჭი, უმეტესად ტაქსის შოფრები (დიდხანს მეც საჭეს ვუჯექი), აგრეთვე, მოსკოვის ქარხნების მუშა-მოსამსახურენი, რომლებმაც უსაზღვროდ შეიყვარეს ეს თამაში. ფიზიკურმა წრთობამ, სისწრაფემ, რეაქციამ, ამტანობამ უთუოდ ხელი შეგვიწყო ძლიერი და მეგობრული კოლექტივის შექმნაში.

— რით მოგწონთ რეგბი?

— თუ შეიძლება ასე ითქვას, უნივერსალობით, მრავალმხრივობით. რეგბი ფეხბურთიც არის და კალათბურთიც, ჭიდაობაც და ხელბურთიც. მე ბევრი სპორტული თამაში ვიცი და ბევრგან მიცდია კიდეც ძალა, მაგრამ ადამიანის ფიზიკურ თვისებათა მთელი სიმდიდრე მარტო რეგბის სარბიელზე განვიცადე. რეგბის, ისევე როგორც ჰოკეის, ლაჩრები ვერ ითამაშებენ. რეგბი ჩემი სიყვარულია.

— მატულობს თუ არა რეგბის ტოყვარულთა რიცხვი საბჭოთა კავშირში, მოსკოვში?

— რასაკვირველია. თუნდაც ჩვენი კლუბი ავიღოთ. მსურველებს ველარ ავუდივართ, ყველა ბიჭს უნდა რეგბი ითამაშოს. თუმცა ზოგჯერ რეგბისტებს არც ადგილი გვაქვს სათამაშო და არც ბურთები. „ფილის", რა თქმა უნდა, აქვს სტადიონი, მაგრამ დედაქალაქის „სპარტაკს", მაგალითად, კალენდარული თამაშების ჩატარება... ქალაქგარეთ უხდება. არა გვაქვს სამამულო წარმოების კარგი ბურთები, თუმცა რეგბი ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სპორტული თამაშია.

— აქვს თუ არა რეგბის რაიმე ისეთი ელემენტი, რითაც ყველა სხვა სპორტული თამაშისგან გამოირჩევა?

— შერკინებას — კოლექტიურ ძალისმიერ ბრძოლას — რეგბის გარდა ვერც ერთ თამაშში ვერ ნახავთ. თამაშის ეს მომენტი ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ცნობილ პრინციპს: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის".

— რეგბის ზოგჯერ ფეხბურთის მონათესავედ მიიჩნევენ. სამართლიანია თუ არა ეს? და თუ არ არის, თქვენი აზრით, გამოცდილი რეგბისტისა და ფეხბურთის მოთამაშის აზრით, რა აკლია დღეს საბჭოთა ფეხბურთს?

— სრული სიმართლეა, რომ რეგბი თავის ამ ქვეყნად გაჩენას ფეხბურთს უნდა უმადლოდეს, მაგრამ დღეს, სხვათა შორის, ეს თამაში ფეხბურთს იმაზე მეტად როდი ჰგავს, ვიდრე ჰოკეის.

ფეხბურთი ჩემი მეორე სიყვარულია. ბევრჯერ მითამაშია „სპარტაკის" საკლუბო გუნდის სახელით მოსკოვის პირველობაში. ჩემი აზრით, ფეხბურთში ჩვენი გასაჭირის მიზეზი ისაა, რომ მოთამაშეებს მაღალი ტექნიკა არა აქვთ და ეშინიათ ბურთისა. ამასთან, ფეხბურთელები რეგბისტებივით გულიანად არ ვარჯიშობენ. თუმცა ფეხბურთს, ისევე როგორც რეგბის, მთლიანად უნდა შესწირო თავი.

— რა მიზეზია, რომ რეგბი სულ უფრო პოპულარული ხდება?

— ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ბობი ჩარლტონმა ერთხელ თქვა: რეგბი, როგორც სპორტული სანახაობა, ყველაზე მეტად მომწონსო. ეს რომ რეგბისტს ეთქვა, გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ თქვა ფეხბურთელმა, თანაც ექსტრა-კლასის მოთამაშემ. როგორც ჩანს, ჩვენს გულშემატკივრებსაც მოსწონთ ლამაზი სანახაობა და თანდათან უკეთ ესმით რეგბი.

— რა აკლია საბჭოთა რეგბის?

— პირველ ყოვლისა, საერთაშორისო შეხვედრები და თანაც უმაღლეს დონეზე. ჩვენ უწინდებურად ჩვენს წვენში ვიხარშებით. თუმცა, როგორც მსოფლიოში სახელგანთქმული მოთამაშენიც აღიარებენ, საბჭოთა რეგბი დიდი ხანია დაადგა უმაღლესი ოსტატობის გზას.

ვ. პიმენოვი.

# „მედეო" ახალი სტარტების წინ




ალმა-ათის მახლობლად მდებარე მაღალმთიანი საციგურაო „მედეო" დიდად სახელგანთქმულია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ახლა იგი მეორედ დაბადებას ზეიმობს.

ძველი სეზონური საციგურაოს ადგილზე ორი წლის მანძილზე აიგო უნიკალური სპორტული ბაზა ხელოვნური ყინულის საფარით, რომლის სისქე 2 მეტრი და 30 სანტიმეტრია. თბილ დღეებში მზეზე ყინული რომ არ გადნეს, უზარმაზარ მინდორს 160-კილომეტრიანი საყინავი მილი დაატანეს, რომელიც სამანქანო დარბაზთანაა შეერთებული. ვიდრე სტადიონის მინდორზე მოხვდებოდეს, მდინარე ალმაატინკიდან წყალი გიგანტურ საწმენდში გაივლის და ყოველგვარი შენარევისგან იწმინდება, რაც ხელს შეუწყობს შეუფერხებლად სრიალს და მაღალ შედეგებს.

ყინულის სტადიონის არქიტექტორებმა და მშენებლებმა სპორტსმენებისა და მაყურებლების კეთილმოწყობისთვისაც იზრუნეს. ბაზას აქვს 12000-ადგილიანი ტრიბუნები, ჰოლები, სუვენირების მაღაზიები, ბუფეტები.

სპორტსმენებისთვის მოეწყობა დასასვენებელი ოთახები, გასახდელები, საშხაპეები.

საუცხოო პირობები შეიქმნება ჟურნალისტებისთვისაც. ერთ-ერთ ტრიბუნაზე 80-ზე მეტი კეთილმოწყობილი ჯიხურია. გათვალისწინებულია სპეციალური ნაგებობა პრეს-ცენტრისთვის, ფოსტა-ტელეგრაფისთვის, სასტუმროსთვის.

საციგურაოს ირგვლივ მოეწყო დასვენების ზონა, სადაც კვირაობით ყაზახეთის დედაქალაქის მშრომელები დაისვენებენ.

„მედეოს" ხელოვნური ყინულის ბილიკი პირველ სტარტებს ელის.

სურათზე: ტურისტები მედეოს ხეობაში.

ვ. სოზინოვისა და ხ. მეტელიცას ფოტო.

## „ლელოს" წერილების კვალდაკვალ

### „ავგიასის თავლა"

ამ სათაურით „ლელოს" 8 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო თბილისის იპოდრომის თავლების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და სხვა დარღვევათა ფაქტები.

როგორც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დ. ნიკურაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტების შესწავლის მიზნით სამინისტრომ ჩაატარა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზია, რის შედეგადაც იპოდრომის მუშაობაში სხვა სერიოზული ნაკლოვანებებიც გამოვლინდა.

სამინისტრომ განიხილა შემოწმების მასალები და მიიღო გადაწყვეტილება გამოვლენილი დარღვევების უმოკლეს ვადაში გამოსწორებისა და იპოდრომის მუშაობის გაუმჯობესებისთვის.

### ღონისძიებანი დასახეს

12 და 28 ოქტომბერს „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა რეიდის მასალები — „ცარიელი სტადიონები" და „ზამთარი თავისას მოითხოვს", რომლებშიც ლაპარაკი იყო თბილისის სპორტულ ბაზებზე შექმნილი არანორმალური მდგომარეობის შესახებ.

ამის თაობაზე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე გვატყობინებს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული წერილები კომიტეტის სპეციალურ სხდომაზე განიხილეს და ქალაქის სპორტული ბაზების მუშაობის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებანი დასახეს.

• • •

28 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" სპორტკლუბ „ივერიის" სტადიონზეც. სპორტკლუბის გამგეობა გვატყობინებს, რომ ფაქტები ძირითადად დადასტურდა. მოედანი, სადაც ნედლეულის ტომრები ეწყო, გაათავისუფლეს.

# მეტრეველი და კაკულია — საბჭოთა ჩოგბურთის ლიდერები



ა. მეტრეველი



თ. კაკულია

მ. ზარგარიანის ფოტოები.

სსრ კავშირის ჩოგბურთის ფედერაციამ უკვე დაამტკიცა წლევანდელი სეზონის მიხედვით შედგენილი საბჭოთა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა საკლასიფიკაციო სიები.

უძლიერეს ვაჟთა ათეულის პირველ და მეორე ნომრებად საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში წლეულს პირველად არიან აღიარებული ქართველი სპორტსმენები: თბილისის დინამოელები ალექსანდრე მეტრეველი და თეიმურაზ კაკულია.

ამ სეზონში მეტრეველმა ბევრი წარმატება მოიპოვა. იგი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო უიმბლდონის ტურნირში მეოთხედფინალს მიაღწია. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთისა და უიმბლდონის ეს ტურნირები ფაქტიურად გრუნტიან და ბალახის კორტებზე მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატებად ითვლება. გარდა ამისა, მეტრეველმა წლეულს ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა ორ თანრიგში, უველას აჯობა ავსტრალიაში, ეგვიპტეში, ინგლისში გამართულ 8 საერთაშორისო ტურნირში.

კაკულიამ მნიშვნელოვანი ორთაბრძოლები მოიგო საფრანგეთის ღია ჩემპიონატსა და უიმბლდონის ტურნირში. სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა თბილისის ტურნირში კაკულიამ დაამტკიცა, რომ მეტრეველის შემდეგ საუკეთესოა კავშირში. სწორედ ამის მერე შეიყვანეს იგი საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში და დევისის თასის გათამაშების მატჩებში არაერთი ლამაზი გამარჯვებაც იზეიმა, მაგალითად, რუმინელ ი. ცირიაკთან, პოლონელ ვ. გონშორეკთან და სხვ. კაკულიამ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში პირველი პრიზი მოიპოვა, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა.

მეტრეველმა და კაკულიამ სამიოდე თვეა, რაც წყვილი შექმნეს და, როგორც იცით, ამ წყვილმა სსრ კავშირის ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვა. მანვე ყველას აჯობა ოქტომბერში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში.

უძლიერესთა ათეულში მომდევნო ადგილებზე არიან: 3. ვ. კოროტკოვი, 4. შ. ტარპიშჩევი, 5. ა. ვოლკოვი (ყველა — მოსკოვი, ცსკა), 6. თ. ლეიუსი (ტალინი, „დინამო"), 7. ა. ივანოვი (ლენინგრადი, ასკ), 8. პ. ლამპი (ტალინი, შეიარაღებული ძალები), 9. ს. ლიხაჩოვი (ბაქო, „ნეფთჩი"), 10. ვ. ეგოროვი (მოსკოვი, ცსკა).

ჩოგბურთელ ქალთა საუკეთესო ათეული ასეთია: 1. ე. ბირიუკოვა (ბაქო, „ბურევესტნიკი"), 2. ო. მოროზოვა (მოსკოვი, ცსკა), 3. მ. კროშინა (ალმა-ათა, „ლოკომოტივი"), 4. ა. ერემეევა (ლენინგრადი, „დინამო"), 5. ა. დმიტრიევა, 6. მ. ჩუვირინა (ორივე — მოსკოვი, „დინამო"), 7. ე. გრანატუროვა (მოსკოვი, ცსკა), 8. ტ. პარმასი (ტალინი, „დინამო"), 9. ა. ივანოვა (თბილისი, „განთიადი"), 10. ლ. კარპოვა (ალმა-ათა, „ლოკომოტივი").

ალვნიშნავთ რა მეტრეველისა და კაკულიას დიდ წარმატებებს, არ შეიძლება არ გამოვთქვათ შეშფოთება იმის გამო, რომ ქართულ ჩოგბურთში არ ჩანს საიმედო რეზერვი. მაგალითად, უძლიერეს ჭაბუკთა ათეულში საქართველოდან ვერც ერთი სპორტსმენი ვერ მოხვდა, გოგონათა ათეულში კი ამ რესპუბლიკიდან მხოლოდ ერთი წარმომადგენელია — მ. ელერდაშვილი. იგი სიაში მეცხრეა.

ვ. კოლეგორსკი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
მოსკოვი.

## სოხუმი

აფხაზეთის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში „დინამოს" ნაკრებმა მოიგო. II ადგილი დაიკავა „კოლმეურნემ", III — სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივმა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ ზ. მიქაბერიძე („კოლმეურნე"), ლ. სააკიანი („დინამო"), დ. ქამიბაძე („განთიადი"), ნ. ღვინჯილია („დინამო"), ტ. ვაშაყმაძე („განთიადი"), რ. მაჩკალიანი, რ. კაკულია (ორივე — „დინამო"), ი. ბუბაშვილი, თ. მცინარიძე (ორივე — „კოლმეურნე"), რ. ხუტაბა („დინამო").

გ. იაშვილი.

## გორი

ამას წინათ რაიონულმა სპორტსკოლამ გამართა რაიონის სკოლების გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში. პირველობა ატენის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდნენ ხელთუბნელები, III — მეჯვრისხეველები.

გ. მთვარელიძე,
სპორტსკოლის დირექტორი.

## ლაგოდეხი

ორ თვეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში 18 კოლექტივის მონაწილეობით. I ადგილი წილად ხვდა ლაგოდეხის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდს. II და III ადგილებზე გავიდნენ ყარსუბნისა და ბაისუბნის გუნდები.

რ. ნოზაძე.

## წითელი წყარო

ჩატარდა რაიონის კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზემო ქედისა და არბოშიკის კოლმეურნეთა გუნდები. ანგარიშით 85:82 გაიმარჯვეს ზემოქედელებმა.

უ. წყარუაშვილი.

გაზაფხული-72

# ბოლო წუთზე იხსნეს...

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 27 ნოემბერი.

ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — გდრ-ის ჭაბუკთა ნაკრები 1:1 (0:1).

თბილისი: მაყაშვილი, ჩოჩიშვილი, კაველიძე, შტეფანი, მამედოვი, კოპალეიშვილი, გიგოლაშვილი, ივანოვი (გომართელი), გაგუა, ჩხაიძე (ქავთარაძე), შელია.

გდრ: კრიუგერი, ვებერი, რამლევი, სტროცნიაკი, ალმსი, როოდი, რაუგუსტი, კამპფი, რიდიგერი, შოდე, ჰოფმანი.

მსაჯი ჰ. კარაპეტიანი (ერევანი).

ამ საერთაშორისო მატჩში თბილისელი ჭაბუკი ფეხბურთელები ძალიან სერიოზული, საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე იდგნენ. მათ სულ ახლახან შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს და თანატოლთა შორის სსრ კავშირში უძლიერესის სახელი მოიპოვეს. ამ ჩემპიონობას „ცხელ კვალზევე" სჭირდებოდა დადასტურება ისეთ ძლიერ, გამოცდილ მეტოქესთან ბრძოლაში, როგორიცაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. გერმანელებმა თავიანთი სიძლიერე ამ რამდენიმე დღის წინაც დაამტკიცეს, როცა ოჩამჩირეში მხოლოდ უკიდურესად დაძაბულ ბრძოლაში დაუთმეს სსრ კავშირის ნაკრებს მინიმალური სხვაობით — 1:2.

უკვე პირველმა წუთებმა ცხადყო, რომ ჩვენი საკლუბო გუნდი საბრძოლო განწყობილებით იყო გამოსული მინდორზე. მასპინძლებმა სწრაფი, ძლიერი იერიშებით დაიწყეს თამაში და დაახლოებით 15-20 წუთის მანძილზე თითქმის არ მოსცილებიან გერმანელთა საჯარიმო მოედანს. გუნდს ჯერ მაშინ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, როცა კრიუგერმა და რამლევმა ბურთის გათამაშებისას შეცდომა დაუშვეს, რის შემდეგაც საგოლე პოზიციაში აღმოჩნდა შელია, ამ უკანასკნელის დარტყმა კი მიზანს ასცდა. მერე გიგოლაშვილმა შეასრულა სწრაფი გარღვევა, რომელიც კვლავ უშედეგოდ დამთავრდა.

ინიციატივა კარგა ხნის მანძილზე თბილისელებს ჰქონდათ, სტუმრები იშვიათად თუ გადადიოდნენ მოპირდაპირე ნახევარზე. ასეთ ვითარებაშიც ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ჩვენი ფეხბურთელები მეტისმეტად ერთობოდნენ ინდივიდუალური თამაშით, ბევრ ენერგიას ხარჯავდნენ გერმანელებთან პირისპირ ბრძოლისას, არ იყენებდნენ თავისუფალ მდგომარეობაში მყოფ პარტნიორებს, ხშირად კარგავდნენ ბურთს გადაცემებისას, რის შედეგადაც თამაში თანდათან გათანაბრდა. გდრ-ის ნაკრების წევრები უფრო რაციონალურად მოქმედებდნენ, ამჯობინებდნენ კომბინაციებს, ბურთის შორ გადაცემებს მინდვრის შუაგულიდან ფლანგებზე და კარის წინ. ამას შედეგიც მოჰყვა: 27-ე წუთზე საჯარიმოდან გათამაშებული ბურთი ძნელი მდგომარეობიდან ზუსტი დარტყმით გაგზავნა მასპინძელთა კარში შოდემ.

ამის შემდეგ ტერიტორიულმა უპირატესობამ გერმანელთა მხარეს გადაინაცვლა, რომლებიც განაგრძობდნენ კომბინაციურ, გეგმიან იერიშებს და თუმცა უწინდებურად აგებდნენ ინდივიდუალურ ბრძოლას, ზუსტი ურთიერთდაზღვევით ახერხებდნენ ბურთზე კონტროლის შენარჩუნებას.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც (თითოეული 40-წუთიანი იყო). თამაში უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძლები თითქოს გარდაუვალი წაგების წინაშე იდგნენ, როცა მდგომარეობა იხსნა გიგოლაშვილმა: მატჩის ბოლო წუთზე მან შეძლო ძლიერად, ზუსტად დაერტყა. კრიუგერი უძლური აღმოჩნდა...

რ. ძორიძე.

* * *



სურათზე: თამაშის მომენტი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

### თბილისის „დინამოს" გამარჯვება

**ჰავანა, 27 ნოემბერი.** ლვოვის „კარპატიმ" დაამთავრა ტურნე თავისუფლების კუნძულზე. დასკვნითს, მეოთხე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მან ანგარიშით 1:0 (0:0) სძლია კუბის ახალგაზრდულ ნაკრებს. საბოლოოდ „კარპატიმ" კუბაში სამი შეხვედრა მოიგო, ერთი კი წააგო.

**ბენი-მელიალი** (მაროკო), **27 ნოემბერი.** პერმის „ზვეზდამ" აქ ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „რაჯა".

**კოლომბო, 28 ნოემბერი.** რესპუბლიკა შრი ლანკაში პირველი მატჩი გამართა თბილისის „დინამომ" — დედაქალაქის სტადიონზე იგი მასპინძელი ქვეყნის კლუბების ნაკრებს შეხვდა და გაიმარჯვა — 6:1 (5:0).

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ყიფიანმა (2), რეხვიაშვილმა, ებრალიძემ, კუტივაძემ, ლ. ნოდიამ.



საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ჭიდაობაში შ. ზუკაკიშვილს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭა სამბოში. აღსანიშნავია, რომ შ. ზუკაკიშვილი სამბოში საერთაშორისო კატეგორიის პირველი მსაჯია საქართველოში.

სურათზე თქვენ ხედავთ შ. ზუკაკიშვილს ახლახან რიგაში გამართულ სამბისტთა I ევროპულ ჩემპიონატში მსაჯობის დროს. დამთავრდა მსუბუქი წონის მოჭიდავეთა კ. კასივასაკისა (იაპონია) და ხ. დარუიინის (მონღოლეთი) ორთაბრძოლა. არბიტრმა გამარჯვების ნიშნად იაპონელ სამბისტს აუწია ხელი.

ა. მალცევინსკასის ფოტო.



# საკავშირო ჩემპიონატებზე

## ... ბაქოში

მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 ჩემპიონატში გუშინწინ VIII ტური გაიმართა. პირველად დამარცხდა ერთ-ერთი ლიდერი მ. მუხინი (ალმა-ათა), რომელსაც ვოროშილოვგრადელმა გ. კუზმინმა მოუგო. მ. ტალმა (რიგა) სძლია ვ. ზილბერშტეინს (ორსკი).

ყაიმით დამთავრდა სამი პარტია: ვ. ჟიდკოვი (კიევი) — ლ. შამკოვიჩი (მოსკოვი), ა. ლეინი — ი. რაზუვაევი (ორივე — მოსკოვი) და ვ. ბაგიროვი (ბაქო) — ვ. სავონი (ხარკოვი). ხუთი პარტია გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. ტალი და მ. მუხინი — 5-5.

## ... ტოლიატიში

მოჭადრაკე ქალთა 32-ე ჩემპიონატის XVII ტურში შესვენებამდე მხოლოდ სამი შეხვედრა დამთავრდა. მ. რანიკუმ (ტალინი) მოუგო ლ. სემიონოვას (კიევი), ა. ეპშტეინმა (გორკი) — ლ. შადურას (კურსკი). ლ. შჩერბინამ (სევასტოპოლი) მოსაგები პოზიცია მიიღო ნ. კონოპლიოვასთან (მოსკოვი), მაგრამ უპირატესობა ვერ გამოიყენა და ყაიმს დასჯერდა.

სამი პარტია გადაიდო. წაგების საფრთხე ემუქრება სსრ კავშირის ჩემპიონს ი. ლევიტინას (ლენინგრადი). მას თ. ბელოვასთან (ფსკოვი) შეწყვეტილ პოზიციაში ფიგურა აკლია.

ე. რუბცოვასა (მოსკოვი) და ვ. კოზლოვსკაიას (პიატიგორსკი) ავადმყოფობის გამო მათი შეხვედრები ა. მკრტჩიანთან (ტაშკენტი) და მ. შულთან (ლვოვი) არ შედგა.

17 ტურის შემდეგ ნ. კონოპლიოვას 10,5 ქულა აქვს, ი. ლევიტინას — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია.

◆ სან-ანტონიო (ტეხასის შტატი), 28 ნოემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში ლიდერობას განაგრძობს ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატი კარპოვი, რომელსაც 7 ტურის შემდეგ 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. VII ტურში პეტროსიანთან კარპოვმა 29-ე სვლაზე ზავს მოაწერა ხელი. ყაიმის მიუხედავად, ამ პარტიამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო: ორივე მეტოქე ჩინებულად თამაშობდა. კარპოვს კვალში მიჰყვება კერესი, რომელსაც 4 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. მორიგ ტურში ესტონელმა დიდოსტატმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სათლზთან (კანადა). 3,5-3,5 ქულა დაუგროვდათ ლარსენს (დანია), გლიგორიჩს (იუგოსლავია), პეტროსიანსა და ბირნს (აშშ). VII ტურში ლარსენმა დაამარცხა სეიდი (აშშ), გლიგორიჩმა კი ევანსთან (აშშ) გადადო პარტია და ახლა ორი დაუმთავრებელი შეხვედრა აქვს. ბირნი კაპლანს (პუერტო-რიკო) დაუზავდა. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) მოუგო ბრაუნს (ავსტრალია). გადადებულია პარტიები: კამპოს-ლოპესი (მექსიკა) — მეკინგი (ბრაზილია) და პორტიში (უნგრეთი) — სმითი (აშშ).




◆ პალმა დე მალიორკა, 28 ნოემბერი. ესპანეთის ამ საკურორტო ქალაქში დაიწყო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც სამი საბჭოთა დიდოსტატი მონაწილეობს. I ტურში ავერბახმა ყაიმით დაამთავრა პარტია პომართან (ესპანეთი), კორჩნოიმ კი რობაჩთან (ავსტრია). პოლუგაევსკიმ გადადო პარტია კალვოსთან (ესპანეთი). დანარჩენი შეხვედრები ასეთი შედეგებით აღინიშნა: გეორგიუმ (რუმინეთი) მოუგო ბელონს (ესპანეთი), ლიუბოევიჩმა (იუგოსლავია) — მედინას (ესპანეთი), ანდერსონი (შვეცია) კი ივკოვს (იუგოსლავია) დაუზავდა. გადადებულია პარტიები: სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — პეტი (შვეიცარია) და ბილეკი (უნგრეთი) — პანო (არგენტინა). ტურნირი 16 დეკემბერს დამთავრდება.

# ფინიში ექვსი თვის შემდეგ იქნება

25 ნოემბერს დაიწყო „ა" კლასის I ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობა. ასპარეზობაში მონაწილეობს 14 გუნდი — „ბურევესტნიკი" (თბილისი), ასკ (ლენინგრადი), აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო), „ტრუდი" (ტაგანროგი), „ავანგარდი" (დონეცკი), „ტრუდი" (კრასნოდარი), ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ერევანი), ასკ (რიგა), „სპარტაკი" (ნიკოლაევი), ვეფ (რიგა), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „სტატიბა" (ვილნიუსი), „ლოკომოტივი" (ალმა-ათა), „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი).

როგორც ხედავთ, I ჯგუფის ტურნირის ბევრი მონაწილე (თბილისის „ბურევესტნიკი", რიგის ასკ და ვეფ-ი, სვერდლოვსკის „ურალმაში", ვილნიუსის „სტატიბა", ალმა-ათის „ლოკომოტივი") სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაში თამაშობდა.

გათამაშება ოთხ წრედ ტარდება: ორჯერ — შინ, ორჯერ — სტუმრად. ტურნირი თითქმის ექვს თვეს გასტანს და მხოლოდ 1973 წლის 18 მაისს გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი. ცხადია, ამ მარათონულ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწევს ის კოლექტივი, რომელიც კარგად მოემზადება ფიზიკურად (რომ არაფერი ვთქვათ ტექნიკურ-ტაქტიკურ მზადყოფნაზე) და რაციონალურად გაანაწილებს ძალებს მთელი ტურნირის მანძილზე.

გთავაზობთ თბილისის „ბურევესტნიკის" შეხვედრათა განრიგს:

I-II წრე. 1-2 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" — ასკ (ლენინგრადი), 6-7 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" — ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო), 11-12 დეკემბერი. „ტრუდი" (ტაგანროგი) — „ბურევესტნიკი", 16-17 დეკემბერი. „ტრუდი" (კრასნოდარი) — „ბურევესტნიკი", 21-22 დეკემბერი. „ავანგარდი" (დონეცკი) — „ბურევესტნიკი", 28-29 დეკემბერი. „ბურევესტნიკი" — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ერევანი), 1973 წლის 13-14 იანვარი. „ბურევესტნიკი" — ასკ (რიგა), 20-21 იანვარი. „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი) — „ბურევესტნიკი", 25-26 იანვარი. „სპარტაკი" (ნიკოლაევი) — „ბურევესტნიკი", 8-9 თებერვალი. „ბურევესტნიკი" — ვეფ (რიგა), 14-15 თებერვალი. „ბურევესტნიკი" — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), 19-20 თებერვალი. „სტატიბა" (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი", 26-27 თებერვალი. „ბურევესტნიკი" — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა).

III-IV წრე. 8-9 მარტი. „ბურევესტნიკი" — „სტატიბა" (ვილნიუსი), 16-17 მარტი. ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი", 22-23 მარტი. ვეფ — „ბურევესტნიკი", 27-28 მარტი. ასკ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი", 5-6 აპრილი. „ბურევესტნიკი" — „სპარტაკი" (ნიკოლაევი), 9-10 აპრილი. „ბურევესტნიკი" — „ავანგარდი" (დონეცკი), 15-16 აპრილი. „ბურევესტნიკი" — „პოლიტექნიკი" (კიშინიოვი), 23-24 აპრილი. „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი", 27-28 აპრილი. „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი", 2-3 მაისი. „ბურევესტნიკი" — „ტრუდი" (კრასნოდარი), 6-7 მაისი. „ბურევესტნიკი" — „ტრუდი" (ტაგანროგი), 10-11 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ერევანი) — „ბურევესტნიკი", 14-15 მაისი. „ბურევესტნიკი" — ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო).

შენიშვნა: თამაშები ჩატარდება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ვეტერანი მინდორს დაუბრუნდა

შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე ბ. კოლინსი წლების განმავლობაში წარმატებით გამოდიოდა „სელტიკში", „ევერტონსა" და „ლიდს იუნაიტედში". შემდეგ მან ასაკის გამო თავი დაანება თამაშს, მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და ეს გადაწყვეტილება ფეხბურთელს აღარ ეჩვენა: 41 წლის კოლინსი ისევ დაუბრუნდა მინდორს. იგი II ლიგის კლუბ „ოლდჰემში" ჩაირიცხა.

● ●

### სადოპინგო კონტროლი

ფიფა-მ გადაწყვიტა მსოფლიო პირველობის VII ევროპული შესარჩევი ჯგუფის (ესპანეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი) ყველა მატჩში დაეწესოს სადოპინგო კონტროლი. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ფიფა-მ სიგნალი მიიღო ზოგიერთი ფეხბურთელის მიერ აღმგზნებ საშუალებათა გამოყენების თაობაზე. ამის მერე კი კონტროლის შემოღება ოფიციალურად მოითხოვა იუგოსლავიის ფედერაციამ.

● ●

### ყველაზე ხნიერი

„მანჩესტერ სიტის" კაპიტანი ტ. ბოოკი ყველაზე ხნიერი ფეხბურთელია ინგლისის I ლიგაში: მას 38 წელი შეუსრულდა.

ასაკის მიხედვით მეორე ადგილზეა ნაკრების ყოფილი ცენტრალური მცველი, ცნობილი ფეხბურთელი ჯ. ჩარლტონი, რომელიც ბოოკზე ერთი წლით ახალგაზრდაა.

● ●

### ალმირის განცხადება

„სანტოსის" ყოფილი თავდამსხმელი ალმირი ამას წინათ ოფიციალური განცხადებით გამოვიდა, რომელმაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ბრაზილიაში. ფეხბურთელმა დაბეჯითებით თქვა, რომ 1963 წელს „მილანთან" საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების მატჩის წინ „სანტოსის" მოთამაშეებმა დოპინგი მიიღეს, თუმცა ეს არავის შეუმჩნევია.

რა უნდა უყონ ალმირს? იგი კარგა ხანია აღარ თამაშობს, რომ დისკვალიფიკაცია მისცენ. გაზეთები კი წერენ, რომ მან „სახალხო პრესტიჟი" შებღალა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები



▲ ბუდაპეშტი. დამთავრდა უნგრეთის პირველობა წყალბურთში. ჩემპიონი გახდა დედაქალაქის ოსკ.

▲ ჰელსინკი. მიუნხენის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი ლ. ვირენი, რომელიც პოლიციელად მუშაობდა, ქვეყნის ერთ-ერთი ოლქის ბუნების, გარეული ცხოველებისა და თევზების მცველად დანიშნეს იმ ვარაუდით, რომ ბრაკონიერებთან მებრძოლს წვრთნისა და სპორტული ფორმის შენარჩუნების მეტი საშუალება ექნება.

▲ როსტოკი (გდრ). მოცურავეთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ყველაზე კარგად იასპარეზა ჰოლანდიელმა ქალმა ქ. ბუნსჰოფენმა, რომელმაც იმარჯვა 100 (1.00,1), 400 (4.28,5) და 800 (9.16,2) მეტრზე თავისუფალი სტილით, აგრეთვე, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.32,0.

# ხელბურთის ამბები

## პირველი მეტოქე — ბელგიის ჩემპიონი

დორტმუნდში (გფრ) გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მონაწილე ხელბურთელ ვაჟთა გუნდების კენჭისყრა.

მერვედფინალური მატჩებისთვის გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ლოკომოტივი" (სოფია) — ჰიფკ (ჰელსინკი), „გიოპინგენი" (გფრ) — „ბაზელი" (შვეიცარია), „სტიაუა" (ბუქარესტი) — „უფსალა" (ნორვეგია), „ლაიპციგი" (გდრ) — „სტადიონი" (კოპენჰაგენი), „ბანიკი" (კორვინი, ჩეხოსლოვაკია) — „პარტიზანი" (ბელოვარი, იუგოსლავია), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი (სსრ კავშირი) — „ავანტი" (ბელგია), „სიტარდია" (ჰოლანდია) — „ზალცბურგი" (ავსტრია).

◆

## მესამე ადგილზე

იასიში (რუმინეთი) დამთავრდა ხელბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი „კარპატის თასზე". ბოლო მატჩი მასპინძლებმა მოუგეს გდრ-ის ნაკრებს (13:11) და პირველობაც მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ იუგოსლაველები, III — სსრ კავშირის წარმომადგენლები.

◆

## სტარტი — 15 აპრილს

კოპენჰაგენი. აქ მოეწყო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ხელბურთელ ქალთა გუნდების წილისყრა. წინასწარი შეხვედრები გაისად 15 აპრილს დაიწყება, ფინალურ ტურნირს კი 7-16 დეკემბერს იუგოსლავია უმასპინძლებს. საკვალიფიკაციო შეჯიბრების მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: საფრანგეთი — ნორვეგია, დანია — ავსტრია, პოლონეთი — ჰოლანდია, სსრ კავშირი — ბულგარეთი, შვეცია — ჩეხოსლოვაკია, სპილოს ძვლის ნაპირი — გვინეა, იაპონია — სამხრეთ კორეა. შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები სამ ჯგუფად დაიყოფიან. „ა" ჯგუფში ითამაშებენ: უნგრეთის, გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკია — შვეციის შესარჩევ მატჩში გამარჯვებული გუნდები; „ბ" ჯგუფში: რუმინეთის, საფრანგეთ — ნორვეგიისა და იაპონია — სამხრეთ კორეის გუნდების შეხვედრებში უძლიერესნი. „გ" ჯგუფში: გდრ-ის, ჰოლანდია — პოლონეთსა და სსრ კავშირ — ბულგარეთს შორის გამარჯვებული; „დ" ჯგუფში: იუგოსლავიის, დანია — ავსტრიისა და სპილოს ძვლის ნაპირ — გვინეას შორის გამარჯვებულნი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. VII საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. 29 ნოემბერი-2 დეკემბერი. დასაწყისი ყოველდღე, გარდა 2 დეკემბრისა, — 18 ს., 30 წთ., 2 დეკემბერს — 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04724